

შპს “თორიჯორჯია“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-13

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტუები	შენიშვნები	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფულ და ფულს ეკვივალენტები	5	93,265	202,867	458,711
სავაჭრომოთხოვნები		748,694	1,040,367	952,913
გადახდოვანები		195,882	1,231	842
მარგები		1,092,131	1,426,821	1,504,587
	მზ პროდუქცია	-	-	-
	სხვა	1,092,131	1,426,821	1,504,587
საინვესტიციოქონება		-	-	-
სხვა მიმდნარე აქტუები	6	78,592	66,218	10,298
ბიოლოგიური აქტუები		-	-	-
	თვითღირებულების მოფლი	-	-	-
	გადაფსების მოფლი	-	-	-
გუფილ		-	-	-
სხვა არმატრიალური აქტუები		8,629	9,732	10,936
ძირთად საშულებები		713,126	703,821	663,264
ინვესტიციები შვილბილუმპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილბროვ ინსტრუმენტბში		-	-	-
სხვა გრმელადანი აქტუები		-	-	-
სულაქტუები		2,930,319	3,451,058	3,601,552

ვალდებულებები

ფინანსური ოჯარის ვალდებულება	-	123,801	41,242	
სავაჭრო ვალდებულებები	278,695	651,851	1,014,414	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2,133	-	18,893	
საგადასახად ვალდებულებები	-	8,773	28,281	
გამოყენებულ შემოსავალ	-	-	-	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	880,578	1,084,143	900,098	
გრძელადანი სასესხო ვალდებულებები	11,254	148,112	328,943	
მიღებულ გრანტები	-	-	-	
სხვა ვალდებულებები	7	1,021	184	653
სულ ვალდებულებები	1,173,681	2,016,863	2,332,523	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	8	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზრდი	1,756,638	1,434,195	1,269,028	
გადაფსების რუფრგი	-	-	-	-
სხვა რუფრგები	-	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,756,638	1,434,195	1,269,028	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,930,319	3,451,058	3,601,552	

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელს	2021 წელს
ნეტომონაგები		3,914,605	4,346,660
საქონლის გაყიდვიდან	3	3,913,798	4,346,660
მომსახურების გაწევიდან	3	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	3	-	-
სხვა	3	808	-
რეალურ პროდუქციის თვითღირებულება		(2,519,453)	(2,737,377)
საერთომოგება		1,395,152	1,609,283
სხვა შემოსავალი		46,611	219,302
დსაქმებულთა ანაზღაურება (-)		(536,432)	(508,006)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(87,125)	(92,198)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(101,176)	(139,713)
ოჯროს ხარჯი (-)		(34,000)	(19,813)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(259,474)	(221,655)
სულ საოპერაციო ხარჯები		(971,596)	(762,083)
საოპერაციო მოგება		423,556	847,200
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები (-)		-	-
მარგები (-)		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-	-
წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		170,451	(229,081)
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არსაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადსახადის ხარჯმდელ განგრძობით		594,007	618,119
ოპერაციებიდან			
მოგების გადსახადი (-)		(68,197)	(67,943)
მოგება/(ზარალი)		525,810	550,176

სხვა სრულ შემოსავალ / (ზრდ):

ძირითად საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)
გადაფასების რეზერვი

- -

სხვა (მათ შორის წილ ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების
უმრავლესობის გადაფასების რეზერვი და დღენილი
გადასახდელანი პროგრამები)

- -

სხვა სრულ შემოსავალ / (ზრდ), სულ

- -

მიღიანი სრულ შემოსავალ/ (ზრდ)

525,810 550,176

საკუთარი კაპიტლის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)

1,434,195 1,269,028

ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტლის
გაზრდა', კოოპერატორის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტლის
გაზრდა')

- -

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)

(420,024) (385,010)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

216,657 -

კაპიტლის სხვა ცვლილებები

- -

საკუთარი კაპიტლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

1,756,638 1,434,195

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელ	2021 წელ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	145,484	74,342
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(89,816)	(104,319)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(335,720)	3,214
წმინდა ზრდა (კლება) ფულადი და ფულადი ეკვივალენტებში	(280,053)	(26,763)
სავალუტო კურსის ეფექტი	170,451	(229,081)
ფულადი და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	202,867	458,711
ფულადი და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	93,265	202,867

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თორიჯორჯია“ (ს/ნ 200276487) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2009 წლის 20 ოქტომბერი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, „პატარა ვაკე“. შპს „თორიჯორჯია“-ს მესაკუთრე არის: 1) დიმიტრი ბოგვერაძე (პ/ნ 01003004973) - 100%; კომპანიის დირექტორი არის დიმიტრი ბოგვერაძე (პ/ნ 01003004973). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო საქონლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს

იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2022 წელს	2021 წელს
შემოსავალ საქონლს რეალზაციიდან	3,913,798	4,346,660
შემოსავალ საოჯრომომსახურებიდან	808	-
	-	-
	3,914,605	4,346,660

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022 წელს	2021 წელს
სარეკლამოხარჯი	56,587	43,471
საოფისე ინვენტარის ხარჯი	9,516	6,420
კომუნიკაციის ხარჯი	18,650	23,776
დოკუმენტის ხარჯი	14,816	19,944
ძირითად საშუალებები საექსპლუატაციოხარჯი	76,461	63,430
საკონსულტაციოხარჯი	1,449	3,076
საექვომომხმონებთან ხარჯი	884	120
სხვა საგადასახადოხარჯი	-	-
მივლენების ხარჯი	14,254	936
ბანკის მომსახურების ხარჯი	11,025	15,971
საპენსიოხარჯი	-	-
საქველმოქმედოხარჯი	1,029	1,220
ჩაუფულო დღ-ის ხარჯი	-	-
საპენსიოშენატნის ხარჯი	10,641	10,145
სხვა ხარჯები	44,162	25,911
წინა პერიოდს ნაშთების კორექტურება	-	7,237
	259,474	221,655

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2022 წელს	2021 წელს	2020 წელს
ნაღდ ფული ეროვნულ ვალუტაში	23,010	23,691	392,845
ნაღდ ფული უცხოურ ვალუტაში	28	35	34
ეროვნული ვალუტა რეზიდენტებთან	70,048	70,065	32,719
უცხოური ვალუტა რეზიდენტებთან	179	109,075	33,113
	93,265	202,867	458,711

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022 წელს	2021 წელს	2020 წელს
მოთხოვნები საწარმოს პერსონალს მიმართ	26,181	55,920	-
წინასწარგაწეული ხარჯი	-	10,298	10,298
საგადასახად მოთხოვნები	42,113	-	-
სხვა მოგვეადანი აქტივები	10,298	-	-
	78,592	66,218	10,298

7. სხვა ვალდებულებები

	2022 წელს	2021 წელს	2020 წელს
მიღებული ავანსები	-	35	653
სხვადასხვა მიმდინარე ვალდებულებები	947	149	-
გადასახდელი დავიდენტები	74	-	-
	1,021	184	653

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის შეადგენდა 0 ლარს, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 0 ლარი და მას სრულად ფლობდა დამფუძნებელი.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

შპს „თორიჯორჯია“-ს

დირექტორი: დიმიტრი ბოგვერაძე/

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის შეადგენდა 0 ლარს, ხოლო 2022 წლის 01 იანვრისთვის 0 ლარი და მას სრულად ფლობდა დამფუძნებელი.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

შპს „თორიჯორჯია“-ს

დირექტორი: დიმიტრი ბოგერაძე/

